

დამტკიცებულია თჰუ აკადემიური
საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის N10
გადაწყვეტილებით

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“
ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ქართულენოვან, ინგლისურენოვან, რუსულენოვან პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტი/სტუდენტი (შემდგომში - აპლიკანტი) უნდა აკმაყოფილებდეს “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტებისმიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების და შესაბამისი პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვებისათვის აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ქართული, ინგლისური, რუსულიენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNICert®, EnglishScore და სხვ.);

ბ) ქართულ/ინგლისურ/რუსულ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა), ასევე, საქართველოს მოქალაქემ, რომელმაც ინგლისურ/რუსულენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც, სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 (ორ) წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში, უნდა წარმოადგინოს სშესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა);

გ) ქართული, ინგლისური, რუსული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების მიზნით აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეები

1) ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი/რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენისთვის, უნივერსიტეტში გამოყენებულია ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიერ აპრობირებული კომპეტენციათა დონე, რომლის შესაბამისად, თითოეულ ენობრივ კომპეტენციას შეესაბამება თავისი პირობითი აღმნიშვნელი.

2) ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეებია:

- ა) A დონე- დაწყებითი კომუნიკაციის კომპეტენცია;
- ბ) B დონე - დამოუკიდებელი კომუნიკაციის კომპეტენცია;
- გ) C დონე - პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენცია;

3) ენობრივი კომპეტენციის დონის შედეგების აღმწერი:

ა) A1 - ნაცნობი, ყოველდღიურად გამოყენებადი გამონათქვამებისა და უმარტივესი წინადადებების გაგებისა და გამოყენების უნარი, რომელთა მიზანსაც კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს. სხვებისათვის საკუთარი თავის წარდგენისა და სხვების წარდგენის, ასევე ადამიანებისათვის მათ შესახებ კითხვების დასმის უნარი - მაგ.: სად ცხოვრობენ ისინი, რა ადამიანებს იცნობენ ან რა ნივთებს ფლობენ - და ასევე მათზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა. მარტივი კომუნიკაციის უნარი, როდესაც თანამოსაუბრე ნელა და გარკვევით ლაპარაკობს და მზადაა დახმარებისათვის.

ბ) A2 - წინადადებებისა და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამების გაგების უნარი, რომლებიც გარკვეული სფეროების უშუალო მნიშვნელობებთანაა დაკავშირებული (მაგ.: ინფორმაცია პიროვნებისა და ოჯახის, საყიდლების, სამუშაოს, უშუალო გარემოცვის შესახებ). მარტივ, ყოველდღიურ სიტუაციებში კონტაქტის დამყარების უნარი, სადაც ინფორმაციის მარტივ და უშუალო გაცვლაზე და ნაცნობ, ჩვეულ საგნებზეა საუბარი. მარტივი წინადადებებით საკუთარი წარმოშობისა და განათლების, უშუალო გარემოცვისა და უშუალო მოთხოვნილებებთან დაკავშირებული საგნების აღწერის უნარი.

გ) B1 - მარტივი სტანდარტული ენის გამოყენებისა და ნაცნობ საგნებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილი უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე მარტივად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერის, გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

დ) B2 - კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; საკუთარ პროფესიულ სფეროში ასევე საგნობრივი დისკუსიების გაგების უნარი. სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევით გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი.

ე) C1 - რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციტური მნიშვნელობის წვდომის უნარი. სპონტანურად და თავისუფლად აზრების გამოხატვის შესაძლებლობა, ისე რომ არ არსებობდეს სიტყვების ძებნის ხშირი და აშკარად თვალში საცემი საჭიროება. ენის საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ან სწავლის პროცესში ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი. კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი.

ვ) C2 - პრაქტიკულად ყოველივე მოსმენილისა და წაკითხულის მარტივად გაგების უნარი. სხვადასხვა წერილობითი და ზეპირი წყაროებიდან ინფორმაციების შეჯამებისა და

მათთანდაკავშირებული არგუმენტაციისა და განმარტებების მწყობრად გადმოცემის შესაძლებლობა. აზრების სპონტანურად, ძალზე თავისუფლად და ზუსტად გადმოცემისა და კომპლექსურ საკითხებზე საუბრისას ფაქიზი ნიუანსების გამოკვეთის უნარი.

ქართული ენის ენობრივი კომპეტენციის დონეები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის დადგენის გამოცდის კომისიის წევრების არჩევის წესი

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - ფაკულტეტის წარმომადგენელი (პროგრამის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი), უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით ერთობლივად უზრუნველყოფენ ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის მიერ ქართული ენის/ინგლისური ენის/რუსული ენის არანაკლებ B1/B2 დონის ცოდნის დადასტურებას (გამოცდის ჩატარებას), აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობის მომზადებას, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე აპლიკანტის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარის, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა, ასევე აპლიკანტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1/B2 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ).

ქართული/ინგლისური/რუსული ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით ორგანიზებულ გამოცდას ატარებს წინასწარ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშია:

1. დარგის სპეციალისტი - კომისიის თავჯდომარე (უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი);
 2. ხარისხის დეპარტამენტის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი;
 3. ფაკულტეტის წარმომადგენელი (პროგრამის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი).
- გამოცდის ჩატარება დასტურდება საგამოცდო უწყისის, საუბრის აუდიო/ვიდეო ჩანაწერით და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობით.

მუხლი 4. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა

1. საბაკალავრო, ერთსაფეხურიან ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გასაუბრების/გამოცდის ჩატარებას.
2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვის მიზნით, ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის

დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას, ადგილზე ან დისტანციური ფორმით.

ა) ადგილზე გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას.

გამოცდის დაწყებამდე, პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ) მობილური ტელეფონების შეტანა; დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს. საუბრის ნაწილში, გამომცდელი გამოსაცდელს უსვამს B 1 სირთულის 10 ღია კითხვას. გამოსაცდელს მოეთხოვება დაახლოებით 1-2 წუთის განმავლობაში უპასუხოს ერთ კითხვას. საუბრის ნაწილი მიმდინარეობს არაუმეტეს 30 წუთისა. თითოეული კითხვა უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას. გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის შეფასების მაქსიმალური ქულაა 80, მინიმალური ბარიერი - 50 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №1).

ა.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს 20 წუთს წერითი დავალების შესასრულებლად. წერითი დავალება გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ 100-120 სიტყვიანი ესსეს დაწერას. ნამუშევრის დასრულების შემდეგ პირი ვალდებულია ზეპირად მიმოიხილოს საკითხი. ესსეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური ბარიერი - 10 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2).

ბ) დისტანციური ფორმით გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ბ.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას. დისტანციურად გასაუბრება ხორციელდება პროგრამა Skype-ის ან სხვა შესაბამისი პროგრამის მეშვეობით. გამოცდის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის განმავლობაში, გამომცდელი ვიდეოკამერის მეშვეობით უნდა ხედავდეს გამოსაცდელ პირს.

გამოცდის დაწყებამდე პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით; გ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; დ) მობილური ტელეფონების გამოყენება; ე) გამოცდის დასრულებამდე კამერის გამორთვა; ვ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს.

დისტანციურად საუბრის ნაწილში, გამომცდელი გამოსაცდელს უსვამს B1 სირთულის 10 ღია კითხვას. გამოსაცდელს მოეთხოვება დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში უპასუხოს ერთ კითხვას. საუბრის ნაწილი მიმდინარეობს არაუმეტეს 30 წუთისა. თითოეული კითხვა უნდა ეხებოდეს სხვადასხვა თემას. გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის შეფასების მაქსიმალური ქულაა 80, მინიმალური ბარიერი - 50 ქულა (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №1).

ბ.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცემელი გამოსაცემელს აძლევს 20 წუთს წერითი დავალების შესასრულებლად. წერითი დავალება გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ 100-120 სიტყვიანი ესსეს დაწერას. ესსე უნდა შესრულდეს Skype-ის მეშვეობით, გამომცემელთან გახსნილ სასაუბრო ფანჯარაში. წერის დასრულებისთანავე პირი ვალდებულია გამომცემელს სასაუბრო ფანჯარაში გაუგზავნოს შესრულებული ესსე და ამის შემდეგ ზეპირსიტყვიერად მიმოიხილოს მის მიერ შესრულებული ნამუშევარი. ესსეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, მინიმალური ბარიერი

- 10 ქულა. (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2).

3. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა ენის ცოდნის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ენის ცოდნის პროგრამით განსაზღვრულ დონეს.

მუხლი 5. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის მსურველი პირის ენობრივი კომპეტენციის დამდგენი გამოცდის ჩატარებას ინგლისურ ენაში B1-B2 დონეებზე. გამოცდა მოიცავს საუბრის, მოსმენისა და კითხვის ენობრივი კომპეტენციების შემოწმებას. გამოსაცემელმა უნდა დაადასტუროს არანაკლებ B1 დონე.გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 50 ქულა.

1. ენის ცოდნის დონის განსაზღვრა ხდება შემდეგი წესით:

ა) B1 დონის დასადასტურებლად განსაზღვრულია კრიტერიუმები (იხ. დანართი N 3), რომელიც ითვალისწინებს მაქსიმალურ 50 ქულიან შეფასებას. საიდანაც საუბრის ნაწილის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, კითხვის ნაწილის 10 ქულა, ხოლო მოსმენის ნაწილის 10 ქულა. იმისათვის, რომ გამოსაცემელმა დაადასტუროს B1 დონე, უნდა მიიღოს არანაკლებ 31 ქულა.

ბ) გამოსაცემელის მიერ B1 დონის კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში, გრძელდება გამოცდა და გამოსაცემელის შეფასება ხდება B2 დონის კრიტერიუმების (იხ. დანართი №3) შესაბამისად, რომლის მაქსიმალური ქულა შეადგენს 50-ს. საიდანაც საუბრის ნაწილის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, კითხვის ნაწილის 10 ქულა, ხოლო მოსმენის ნაწილის შეფასება 10 ქულა.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვის მიზნით, ინგლისურენოვანი პროგრამის ენის ცოდნის დონის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას, ადგილზე ან დისტანციური ფორმით.

3.გამოცდის საერთო ხანგრძლივობაა მაქსიმუმ 50 წუთი. გამოცდა იწყება საუბრის ნაწილით, რომლის განმავლობაში გამომცემელი გამოსაცემელს უსვამს B1 დონის შეკითხვებს, ხოლო B1 დონის შესაბამისი ქულებით დადასტურების შემთხვევაში, გადადის B2 დონის კითხვებზე. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცემელი ვერ პასუხობს B2 დონის კითხვებს, საუბრის ნაწილი წყდება და შემდეგ ეტაპზე, გამოსაცემელი ასრულებს მხოლოდ B1 დონის მოსმენისა და კითხვის დავალებებს.

ა) ადგილზე გამოცდა ტარდება სამ ეტაპად:

ა.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას. გამოცდის დაწყებამდე პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება; ბ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; გ) მობილური ტელეფონების შეტანა; დ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს.

საუბრის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. საუბრის უნარის შეფასებისას, ინგლისური ენის B1-B2 დონის დამდგენი გამოცდის დროს გამომცდელი ერთ გამოსაცდელს შესაბამის დონეზე (B1, B2) უსვამს რამდენიმე კითხვას. სირთულის შესაბამისად, თითოეულ კითხვას გამოსაცდელი პასუხობს ერთი-ორი წუთის განმავლობაში. თითოეული დონე (B1, B2), ცალ-ცალკე ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით. საბოლოოდ, ყველა დონის კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, ქულების ჯამი განსაზღვრავს გამოსაცდელის ენის ცოდნის დონეს. (შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართი 3).

იმ შემთხვევაში, როცა ჩარიცხვის მსურველი პირი ვერ ან თითქმის ვერ პასუხობს B1 დონის შეკითხვებს, საუბრის გამოცდა წყდება და მას უფრო მაღალი დონის კითხვები აღარ დაესმება. ასეთი გამოსაცდელი ასევე აღარ ასრულებს წერით დავალებას. გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების შემთხვევაში, მას ეწერება ნული ქულა.

ა.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს მოსმენის კომპეტენციის შემოწმების დროს. გამოსაცდელი ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს B1-B2 დონის მოსმენის უნარის შემოწმებელ დავალებებს. B1 დონეზე მოსმენის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა. B2 დონეზე მოსმენის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა.

მოსმენის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. მოსმენის ეტაპის გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების ან დავალების არ შესრულების შემთხვევაში, მას ეწერება ნული ქულა.

ა.გ) მესამე ეტაპი - საუბრისა და მოსმენის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს კითხვის კომპეტენციის შემოწმების დროს. კითხვის კომპეტენციის შემოწმების დროს, გამოსაცდელი ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს B1/B2 დონის კითხვის უნარის შესამოწმებელ დავალებებს. B1 დონეზე კითხვის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა. B2 დონეზე კითხვის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა. კითხვის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. კითხვის გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების ან დავალების არ შესრულების შემთხვევაში, მას ეწერება ნული ქულა.

ბ) დისტანციური ფორმით გამოცდა ტარდება სამ ეტაპად:

ბ.ა) პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. გამომცდელი საუბრის პროცესში აფასებს კანდიდატის ენობრივ კომპეტენციას.

დიტანციურად გასაუბრება ხორციელდება პროგრამა Skype-ის ან სხვა შესაბამისი პროგრამის მეშვეობით. გამოცდის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის განმავლობაში, გამომცდელი ვიდეოკამერის მეშვეობით უნდა ხედავდეს გამოსაცდელ პირს. გამოცდის დაწყებამდე პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც გამომცდელი ახდენს პირის იდენტიფიცირებას, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს გამოსაცდელ პირს. იდენტიფიცირების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აცნობს გამოცდის წესებს (გამოცდაზე დაუშვებელია: ა) საუბარი, ხმაური, ქესტიკულაციის გამოყენება; ბ) სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით; გ) გამოცდაზე ნაბეჭდი მასალის გამოყენება; დ) მობილური ტელეფონების გამოყენება; ე) გამოცდის დასრულებამდე კამერის გამორთვა; ვ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო სივრცის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული გარემოებებისა და სხვა საგამოცდო პროცესისთვის შეუფერებელი ქცევის არსებობის შემთხვევაში, პირს პირველ ჯერზე მიეცემა შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან) და იწყებს საგამოცდო პროცესს. საუბრის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. საუბრის უნარის შეფასებისას, ინგლისური ენის B1-B2 დონის დამდგენი გამოცდის დროს გამომცდელი ერთ გამოსაცდელს შესაბამის დონეზე (B1, B2) უსვამს რამდენიმე კითხვას. სირთულის შესაბამისად, თითოეულ კითხვას გამოსაცდელი პასუხობს ერთი-ორი წუთის განმავლობაში. თითოეული დონე (B1, B2), ცალ-ცალკე ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით. საბოლოოდ, ყველა დონის კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, ქულების ჯამი განსაზღვრავს გამოსაცდელის ენის ცოდნის დონეს. (შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართი 3).

იმ შემთხვევაში, როცა ჩარიცხვის მსურველი პირი ვერ ან თითქმის ვერ პასუხობს B1 დონის შეკითხვებს, საუბრის გამოცდა წყდება და მას უფრო მაღალი დონის კითხვები აღარ დაესმება. ასეთი გამოსაცდელი, ასევე აღარ ასრულებს წერით დავალებას. გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების შემთხვევაში, მას ეწერება ნული ქულა.

ბ.ბ) მეორე ეტაპი - საუბრის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს მოსმენის კომპეტენციის შემოწმების დროს. გამოსაცდელი ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს B1-B2 დონის მოსმენის უნარის შესამოწმებელ დავალებებს.

B1 დონეზე მოსმენის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა. B2 დონეზე მოსმენის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა.

მოსმენის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. მოსმენის ეტაპის გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების ან დავალების არ შესრულების შემთხვევაში, მას ეწერება 0 ქულა.

ბ.გ) მესამე ეტაპი - საუბრისა და მოსმენის ნაწილის დასრულების შემდეგ, გამომცდელი გამოსაცდელს აძლევს კითხვის კომპეტენციის შემოწმების დროს. კითხვის კომპეტენციის შემოწმების დროს, გამოსაცდელი ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს B1-B2 დონის კითხვის უნარის შემოწმებელ დავალებებს. B1 დონეზე კითხვის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა. B2 დონეზე კითხვის დავალება მოიცავს 10 დახურული ტიპის კითხვას, სადაც რამდენიმე ვარიანტიდან მხოლოდ ერთი ვარიანტი არის სწორი. ერთი სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა. 10 სწორი პასუხის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა. კითხვის გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ორ სტუდენტთან ერთად. კითხვის გამოცდაზე სტუდენტის არდასწრების ან დავალების არ შესრულების შემთხვევაში, მას ეწერება ნული ქულა.

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შესაბამის ენის ცოდნის დონეს.

მუხლი 6. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირისთვის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის მსურველი პირის ენობრივი კომპეტენციის დამდგენი გამოცდის ჩატარებას რუსულ ენაში B1-B2 დონეებზე. გამოცდა მოიცავს საუბრის, მოსმენისა და კითხვის ენობრივი კომპეტენციების შემოწმებას. გამოსაცდელმა უნდა დაადასტუროს არანაკლებ B1 დონე. გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 80 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50 ქულა. (იხ. დანართი №4)
2. ენის ცოდნის დონის განსაზღვრა ხდება შემდეგი წესით:
 - მოსმენა: აპლიკანტს უნდა შეეძლოს საკმარისი სისრულით, სიღრმისეულად და ზუსტად გაიგოს მონოლოგში/დიალოგში გადმოცემული ინფორმაცია, ძირითადი შინაარსი და კომუნიკაციური ზრახვები. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100–200 ლექსიკურ ერთეულს. მეტყველების ტემპი უნდა იყოს ბუნებრივი (წუთში 200–250 ზეგრა). მოსასმენად წარმოდგენილი ტექსტების ჟანრებია: მონოლოგი-შეტყობინება, თხრობა, დიალოგი. ლექსიკო-გრამატიკული მასალა შეესაბამება B1 დონეს.
 - კითხვა/გააზრება: ტექსტის მოცულობა: 200–600 ლექსიკური ერთეული. აპლიკანტმა ტექსტის წაკითხვის შედეგად (წუთში 40–50 სიტყვა) უნდა შეძლოს შინაარსის გაგება.
 - წერა: ტექსტების სწორად ფორმირების უნარის დასადგენად, აპლიკანტმა უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა. (წერილობითი ტექსტის მოცულობა: 200–400 ლექსიკური ერთეული).
 - საუბარი: აპლიკანტი საუბრობს თანმიმდევრულად, ლოგიკურად, მსჯელობს შეუფერხებლად შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით. (იხ. დანართი №4)

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ენის ფლობის რელევანტურობის მონიტორინგის სქემა

უსდ ახორციელებს ინგლისურენოვან/რუსულენოვან პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა, ინგლისური/რუსული ენის ფლობის დონის, პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის მუდმივ მონიტორინგს, უსდ-ში დანერგილი სქემის მიხედვით. უსდ-ს მიერ მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ ენობრივი კომპეტენციების შესწავლას და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას:

1. სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას, დაადასტურეს ქართული/ინგლისური/რუსული პროგრამის შესაბამისი ენის ენობრივი კომპეტენციის B1 დონეზე ფლობა, პირველი სემესტრის დასასრულს უტარდებათ ტესტირება “თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის” შესაბამისად, პროგრამის ენის ცოდნის პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის დადგენის მიზნით.
2. აღნიშნული ტესტირების შედეგების დამუშავების შემდეგ, უნივერსიტეტი არსებული

ვითარების გასაუმჯობესებლად, სთავაზობს სტუდენტებს ქართულ/ინგლისურ/რუსულ ენაში მომზადების კურსს შპს “ენების ინოვაციურ აკადემიაში”, დაფინანსებით (მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის) ან თანადაფინანსებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ენის ფლობის რელევანტურობის გასადგენი ტესტირება ტარდება პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ.

მუხლი 8. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

1. ენობრივი კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები ეცნობება სტუდენტს/აბიტურიენტს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში.
2. სტუდენტი/აბიტურიენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს გამოცდის შედეგები გაცნობიდან 2 (ორი) დღის ვადაში. სააპელაციო განაცხადს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი კომისია. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
3. ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგები ეცნობება სტუდენტს/აბიტურიენტს სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის მოთხოვნილი უცხო ენის ცოდნის დონის დადგენის წესი განისაზღვრება „შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესის” შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქართულ ენაში გამოცდის პირველი ეტაპის - საუბრის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები

ქულა	ზოგადი აღწერილობა	თავისუფლად მეტყველება	ლექსიკურ-გრამატიკული გამართულობა	სასაუბროთემის გავრცობა
71-80	პასუხი დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბრობს. მეტყველება მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ ხდის ბუნდოვანს.	პასუხი სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ზოგადად, ის კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირი ნათელია და თანმიმდევრული.
61-70	პასუხი, მეტწილად, დავალების მოთხოვნების შესატყვისია, მცირე შეცდომებით. საუბარი გასაგებია და წარმოადგენს მეტწილად ერთიან, გამართულ დისკუსს.	არსებითად, თავისუფლად საუბარი. მეტყველება მეტწილად მკაფიოა. შეიძლება მოიცავდეს მცირე შეცდომებს ან დაბრკოლებებს გამოთქმის ან ინტონაციის ფორმებთან მიმართებით, რაც საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	პასუხი, მეტწილად, გრამატიკისა და ლექსიკის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებას წარმოადგენს. ის გამოხატავს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტომატიზმს, ძირითადი და რთული სტრუქტურების კარგი ფლობით. შეინიშნება მცირე (ან სისტემური) შეცდომები, რომლებიც აზრის გამოხატვას არ ხდის ბუნდოვანს.	პასუხი მეტწილად სრულია და აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს. ის, ზოგადად, კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. იდეებს შორის კავშირები მეტწილად ნათელია (ან იდეების ნათელი თანმიმდევრობა).

51-60	პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 2-3 შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.	მეტყველება, ზოგადად, ნათელია, გამოხატვა საკმაოდ თავისუფალი. თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის ძალისხმევას მოითხოვდეს. ამასთანავე, ეს საუბრის საერთო აღქმას ზიანს არ აყენებს.	ახდენს გრამატიკისა და ლექსიკის საკმაოდ ავტომატური, ეფექტური იდა შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართულ გამოხატვას. შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების რამდენიმე შემთხვევა ან გარკვეულწილად შეზღუდული სტრუქტურების გამოყენება. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე. თუმცა, აღნიშნული კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.	პასუხი მეტწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ინფორმაციას ს გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია; აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.
-------	---	---	--	--

41-50	პასუხი დავალებას შესაბამისად პასუხობს, თუმცა, სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ზოგადად, პასუხი გასაგები და მთლიანია, თუმცა 5-6 შესამჩნევი შეცდომა იდეების გამოხატვისას შესამჩნევია.	მეტყველება გარკვეულწილად ნათელია, გამოხატვა საკმაოდ თავისუფალი, თუმცა, მცირე დაბრკოლებები გამოთქმის, ინტონაციის და ტემპის კუთხით შესამჩნევია და დროდადრო, შესაძლოა, მსმენელის გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდეს. ამასთანავე ეს საუბრის საერთო აღქმას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.	პასუხი გრამატიკისა და ლექსიკის მეტ-ნაკლებად ავტომატური, ეფექტური გამოყენებისა და შესაბამისი იდეების საკმაოდ გამართული გამოხატვის დემონსტრირებას წარმოადგენს. პასუხი, შესაძლოა, ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების არაზუსტი გამოყენების 5-6 შემთხვევას მოიცავდეს ან გარკვეულწილად შეზღუდული იყოს ამ სტრუქტურების გამოყენებისას. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს თავისუფლად მეტყველებაზე, თუმცა, კომუნიკაციის გზავნილის გადაცემას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.	პასუხი გარკვეულწილად გამართული და ერთიანია და შესაბამის იდეებს/ ინფორმაციას ს გადმოსცემს. საერთო განვითარება გარკვეულწილად შეზღუდულია, როგორც წესი, აკლია სისრულე ან სპეციფიკურობა. იდეებს შორის მიმართებები ზოგჯერ მაშინვე ცხადი არ არის.
-------	--	--	---	---

31-40	პასუხი დავალებას პასუხობს, მაგრამ საკითხის განვითარება შეზღუდულია. მეტყველება გასაგებია, თუმცა, გადმოცემასთან და/ან საერთო გამართულობასთან დაკავშირებული პრობლემები შესამჩნევია. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.	მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა, არამკაფიო გამოთქმის, შეუსაბამო ინტონაციის ან არამწყობრი რიტმის გამომსმენელს საუბრის გასაგებად ძალისხმევა სჭირდება. აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია.	პასუხი გრამატიკის და ლექსიკის შეზღუდული გამოყენებისა და კონტროლის დემონსტრირებაა. ეს შეზღუდვები ხშირად იდეათა სრულ გამოხატვას ხელს უშლის. მეტწილად, მხოლოდ წინადადების ბაზისური სტრუქტურები გამოიყენება წარმატებით და თავისუფლად გამოიხატება მეტყველებისას. სტრუქტურები და ლექსიკა შესაძლოა გამოხატავდეს, ძირითადად, მარტივ (მოკლე) და/ან ზოგად აზრებს მათ შორის მარტივი და არამკაფიო კავშირებით.	პასუხი დავალებასთან კავშირშია, თუმცა გამოხატულ იდეათა რაოდენობა ან იდეათა განვითარება შეზღუდულია. მეტწილად, მარტივი იდეებია გამოხატული, რომელთა შემდგომი გაღრმავება შეზღუდულია (დეტალებისა და კონკრეტიკის კუთხით). ზოგჯერ, შესაბამისი სასაუბრო მასალა შესაძლოა ბუნდოვნად იყოს გამოხატული ან აზრი მეორდებოდეს. იდეებს შორის კავშირი მკაფიო არ არის.
-------	---	--	--	---

21-30	პასუხი დავალებას პასუხობს, მაგრამ საკითხის განვითარება მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მეტყველება მეტწილად გასაგებია, თუმცა გადმოცემასთან და/ან საერთო გამართულობასთან დაკავშირებული პრობლემები შესამჩნევია. აზრი ხშირად ბუნდოვანია.	მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა ხშირად არამკაფიო გამოთქმის, შეუსაბამო ინტონაციის ან არამწყობრი რიტმის გამო, მსმენელს საუბრის გასაგებად ძალისხმევა სჭირდება. აზრი ხშირად ბუნდოვანია.	პასუხიგრამატიკისდა ლექსიკის მნიშვნელოვნად შეზღუდული გამოყენებისა და კონტროლის დემონსტრირებაა. ეს შეზღუდვები ხშირად იდეათა სრულ გამოხატვას ხელს მნიშვნელოვნად უშლის. მეტწილად, მხოლოდ წინადადების ბაზისური სტრუქტურები გამოიყენება წარმატებით და თავისუფლად გამოიხატება მეტყველებისას. სტრუქტურები და ლექსიკა შესაძლოა გამოხატავდეს ძირითადად მარტივ (მოკლე)და/ან ზოგად აზრებს მათ შორის მარტივი და არამკაფიო კავშირებით.	პასუხი დავალებასთან გარკვეულწილად კავშირშია, თუმცა გამოხატულ იდეათა რაოდენობაან იდეათა განვითარება ძალიან შეზღუდულია. მეტწილად, მარტივი იდეებია გამოხატული, რომელთა შემდგომი გაღრმავება შეზღუდულია (დეტალებისა და კონკრეტიკის კუთხით). ზოგჯერ შესაბამისი სასაუბრო მასალა შესაძლოა ბუნდოვნად იყოს გამოხატული ან აზრი მეორედბოდეს. იდეებს შორის კავშირი მკაფიო არ არის.
11-20	პასუხი ძალიან შეზღუდულია შინაარსის და/ან ერთიანობის თვალსაზრისით ან მხოლოდ მინიმალურად არის დაკავშირებული	გამოთქმასთან მახვილთან და ინტონაციასთ ან დაკავშირებული ხშირი პრობლემები მოითხოვს მსმენელის	გრამატიკისა და ლექსიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ზღუდავს სანაფერხებს იდეათა გამოხატვას და მათ შორის კავშირების	შესაბამისი შინაარსი შეზღუდულადაა გამოხატული.პასუხი ძალიან მარტივი იდეების გამოხატვას არსცდება. მოსაუბრეს

	დავალებასთან ან მეტყველება მეტწილად გაუგებარია.	მნიშვნელოვან ძალისხმევას. საუბარი წყვეტილი, ფრაგმენტული ან ტელეგრაფიულია; შეიმჩნევა ხშირი პაუზები და შეყოვნებები.	დამყარებას. ზოგიერთი ნაკლები სირთულის პასუხი, შესაძლოა, ძირითადად წინასწარ დამუშავებულ ან შაბლონურ ენობრივ ერთეულებს ეყრდნობოდეს.	არ შეუძლია გაბმულად იმეტყველოს დავალების შესასრულებლად და შესაძლოა, ძირითადად, მინიშნების გამეორებაზე იყოს დამოკიდებული.
1-10	პასუხი ძალიან შეზღუდულია შინაარსის და/ან ერთიანობის თვალსაზრისით ან თითქმის არ არის დაკავშირებული დავალებასთან მეტყველება მეტწილად გაუგებარია.	გამოთქმასთან მახვილთან და ინტონაციასთან დაკავშირებული ხშირი პრობლემები მოითხოვს მსმენელის მნიშვნელოვან ძალისხმევას. საუბარი წყვეტილი, ფრაგმენტული ან ტელეგრაფიულია; შეიმჩნევა მუდმივი პაუზები და შეყოვნებები.	გრამატიკისა და ლექსიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ზღუდავს ან აფერხებს იდეათა გამოხატვას და მათ შორის კავშირების დამყარებას. ზოგიერთი ნაკლები სირთულის პასუხი, შესაძლოა, ძირითადად წინასწარ დამუშავებულ ან შაბლონურ ენობრივ ერთეულებს ეყრდნობოდეს.	შესაბამისი შინაარსი შეზღუდულადაა გამოხატული. პასუხი ძალიან მარტივი იდეების გამოხატვას არ სცდება. მოსაუბრეს არ შეუძლია გაბმულად იმეტყველოს დავალების შესასრულებლად და შესაძლოა, ძირითადად, მინიშნების გამეორებაზე იყოს დამოკიდებული.
0	მოსაუბრე არ ცდილობს, რომ უპასუხოს ან პასუხი თემასთან არ არის დაკავშირებული.			

გამოცდის მეორე ეტაპის - ესეს შეფასების კრიტერიუმები

ქულა	დავალების შესრულება
16-20	- ჩანს თემისადმი და დავალებისადმი ეფექტური მიდგომა. - ესეი კარგად ორგანიზებული და განვითარებულია, გამოყენებულია შესაბამისი არგუმენტაცია, მაგალითები და/ან დეტალები. - ესეი აჩვენებს ერთიანობას, თანმიმდევრობასა და სისტემურობას. მასში ჩანს ენის გამოყენების უნარი, დემონტრირება ხდება სინტაქსური სხვადასხვაობისა და ლექსიკის სისტემურად გამოყენების უნარის, თუმცა, ასევე შეიძლება შეინიშნებოდეს მცირე ლექსიკური და გრამატიკული შეცდომები.
11-15	- თემასთან და დავალებასთან მიდგომა კარგია, თუმცა რამდენიმე პუნქტი შესაძლოა სრულად შესრულებული არ იყოს. - ზოგადად, ესეი კარგად ორგანიზებული და განვითარებულია, გამოყენებულია შესაბამისი და საკმარისი არგუმენტაცია, მაგალითები და/ან დეტალები. - ესეიში ჩანს ერთიანობა, თანმიმდევრულობა და სისტემურობა, თუმცა, ზოგჯერ შესაძლოა მოიცავდეს გადაჭარბებას, გადახვევას ან ბუნდოვან კავშირებს. - ესეიში ჩანს ენის გამოყენების უნარ-ჩვევა, სინტაქსური სხვადასხვაობისა და ლექსიკის გამოყენების უნარი, თუმცა, შეინიშნება შესამჩნევი მცირე შეცდომები სტრუქტურაში, სიტყვის ფორმების გამოყენებაში, რაც მნიშვნელობას არ აზიანებს.
6-10	- ესეიში ჩანს თემისა და დავალებისადმი მიდგომა, ჩამოყალიბებული ახსნით, მაგალითებით და/ან დეტალებით. - ჩანს ერთიანობა, თანმიმდევრულობა და სისტემურობა, თუმცა იდეათა შორის კავშირი დროდადრო ბუნდოვანია. - შესაძლოა, ჩანდეს შეუსაბამოები წინადადების ფორმირებასა და სიტყვათა შერჩევაში, რაც შესაძლოა გამოიხატოს სიცხადის ნაკლებობასა და დროდადრო ბუნდოვან მნიშვნელობაში. - შესაძლოა გამოხატავდეს ზუსტ, მაგრამ შეზღუდული მოცულობის სინტაქსურ სტრუქტურებსა და ლექსიკას.
1-5	ამ ეტაპზე, ესეის ახასიათებს შემდეგი მნიშვნელოვანი სისუსტეები: - მნიშვნელოვანი ხასიათის სტრუქტურული პრობლემებიან ესეს არარელევანტური განვითარება. - მცირე კონკრეტიკა ან დეტალების არ არსებობა, შეუსატყვისი მაგალითები ან პასუხები. - მნიშვნელოვანი და ხშირი შეცდომები წინადადების სტრუქტურაში ან გამოყენებაში.
0	დავალება არ არის შესრულებული ზემოთ ნახსენები კრიტერიუმების მიხედვით ან საერთოდ არ შესრულებულა.

ინგლისური ენის გამოცდის შეფასების

კრიტერიუმები საუბრის უნარის შეფასების კრიტერიუმები:

25-30 ქულა- მკაფიოდ, ორიგინალურად და თავისუფლად საუბრობს მოცემული საკითხის ირგვლივ. წარმოსახვის კარგ უნარს ავლენს, ფლობს დონის შესაბამისს მდიდარ ლექსიკურ მარაგს. იცავს გრამატიკულ ნორმებს. თავისუფლად იყენებს თემატურ სიტყვებსა და ფრაზებს. კითხვებზე იძლევა სწრაფ რეაქციას: პასუხი ზუსტი და საინტერესოა.

24-19 ქულა- საუბარს ახერხებს, გასაგებად აყალიბებს აზრს, არის ლოგიკურ კავშირში დასმულ საკითხთან. იყენებს შესაბამის ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს, თუმცა აკლია ლექსიკის მრავალფეროვნება. რეაქცია არ აქვს სწრაფი, თუმცა სწორად აანალიზებს დასმულ კითხვას და პასუხობს ადეკვატურად. პასუხის ვარიანტები და ლექსიკა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

13-18 ქულა- მეტნაკლებად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას, ფაქტებისა და ლოგიკური მსჯელობის გარეშე. იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, საუბრის კომპოზიცია ღარიბია. ლექსიკა ძალზე ერთფეროვანი და რაოდენობრივად მცირეა. პასუხისას ყოვნდება, ზოგჯერ ვერ ახერხებს პასუხის გაცემას.

7-12 ქულა- აპლიკანტი საუბარს ვერ ახერხებს, აზრის გადმოცემა უჭირს. ლექსიკა ღარიბია. ვერ იცავს გრამატიკულ ნორმებს. კითხვებს ძირითადად ვერ იგებს ან ვერ ახერხებს სწორი პასუხის გაცემას.

0 ქულა- გადმოცემს წინადადებებს, უჭირს მათი დაკავშირება. ლექსიკა მეტისმეტად ღარიბია. კითხვებზე პასუხი შეუსაბამოა. აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს ინგლისურ ენოვან პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო ნორმებს.

მოსმენის და კითხვის (ტექსტის გააზრება/ანალიზი) უნარის შეფასების

კრიტერიუმები: ტესტი შედგება 10 დახურული ტიპის კითხვისგან.

1 ქულა - პასუხი სწორია;

0 ქულა - პასუხი არ არის სწორი.

რუსული ენის ტესტირების შეფასების			
კრიტერიუმები	ტესტის	კითხვის/გააზრების	შეფასების

კრიტერიუმები:

წაკითხულის/გააზრების ტესტის შეფასებისას აპლიკანტს ეძლევა 10 დახურული კითხვა. პასუხი - სწორი/არასწორი. შესაბამისად, თითოეული სწორი პასუხისთვის აპლიკანტი იღებს 1 ქულას, ხოლო ყოველი არასწორი პასუხისას - 0 ქულას.

წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები:

წერიტი დავალების შეფასებისას ქულა იწერება ორი კომპონენტის – შინაარსისა და წიგნიერების გაერთიანებით. წერიტი ტექსტის მოცულობა არ უნდა იყოს 120 ლექსიკურ ერთეულზე ნაკლები. ლექსიკური ერთეულების რაოდენობის შემცირება იწვევს დაბალი ქულით შეფასებას.

შინაარსის შეფასებისას ყურადღება გამახვილდება გადმოცემის ლოგიკურობაზე, პრობლემის გაშუქების სისრულეზე, ლექსიკისა და სინტაქსურად რთული კონსტრუქციების სწორად გამოყენებაზე. შინაარსის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა.

შეფასება:

9-10 ქულა- აპლიკანტმა სრულყოფილად გადმოსცა თემა, კითხვები გაშუქებულია ამომწურავად და სრულყოფილად. ყოველი მომდევნო წინადადება ლოგიკურად უკავშირდება წინა წინადადებას. დაწერილი ტექსტი სწორად იყოფა აზნაცებად, აზნაცები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. გამოყენებულია რთული სინტაქსური კონსტრუქციები. ლექსიკა მდიდარია. ნებადართულია ერთი მეტყველების შეცდომა, რომელიც გავლენას არ ახდენს შინაარსის გაგებაზე.

7-8 ქულა - აპლიკანტმა კარგად ახსნა თემა, კითხვები გაშუქებულია მრავალმხრივად და ამომწურავად. ყოველი მომდევნო წინადადება ლოგიკურად უკავშირდება წინა წინადადებას. დაწერილი ტექსტი სწორად იყოფა აზნაცებად, აზნაცები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. გამოყენებულია რთული სინტაქსური კონსტრუქციები. ლექსიკა მდიდარია. ნებადართულია 2-3 მეტყველების შეცდომა, რომლებიც მნიშვნელოვნად არ მოქმედებს შინაარსის გაგებაზე, ან ლექსიკური ერთეულების საერთო მოცულობა არ აღემატება 100-ს.

5-6 ქულა- საშუალო დონის ნამუშევარი, კითხვები ცალმხრივად ან არასრულად არის გაშუქებული. შეცდომებია წინადადებებისა და აზნაცების ლოგიკურ კავშირში. დაწერილი ტექსტი არასწორად არის დაყოფილი ან საერთოდ არ არის დაყოფილი აზნაცებად, აზნაცები ლოგიკურად კარგად არაა დაკავშირებული ერთმანეთთან. გამოიყენება მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები. ლექსიკა საშუალო დონეზეა, არის

ლექსიკური და სინტაქსური კონსტრუქციების გამეორება (ორზე მეტი). დასაშვებია 4-6 შეცდომა. ტექსტის გასაგებად საჭიროა ნამუშევრის ყურადღებით წაკითხვა, ან ლექსიკური ერთეულების საერთო მოცულობა არ აღემატება 80-ს.

3-4 ქულა- დაბალი დონის ნამუშევარი, კითხვები ცუდად არის გაშუქებული. უამრავი შეცდომაა წინადადებებისა და აზნაცების ლოგიკურ კავშირში. ტექსტი არ არის დაყოფილი აზნაცებად სწორად ან საერთოდ არაა დაყოფილი; აზნაცები ლოგიკურად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. გამოყენებულია მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები. ლექსიკა მწირია, არის ლექსიკური და სინტაქსური გამეორება (სამზე მეტი). დასაშვებია 7-9 მეტყველების შეცდომა. ტექსტის გაგება რთულია ან ლექსიკური ერთეულების საერთო რაოდენობა 60-ს არ აღემატება.

1-2 ქულა- სამუშაო არ შეესაბამება მოცემულ თემას ან დაწერილია 1-2 წინადადება, რომელიც თემატურად არ არის დაკავშირებული თემასთან/თემატურად. ლექსიკა ღარიბი და პრიმიტიულია. ტექსტის გაგება საგრძნობლად გართულებულია ან სრულიად შეუძლებელია. მეტყველების შეცდომების რაოდენობა აღემატება 10-ს ან ლექსიკური ერთეულების მთლიანი მოცულობა არ აღემატება 40-ს.

0 ქულა- წარდგენილი იყო ცარიელი ფურცელი, ან გადაწერილია დავალების ფორმულირება, ან ჩაბარებული ნამუშევარი თემას არ შეესაბამება.

საუბრის შეფასების კრიტერიუმები:

მეტყველების შეცდომები:

1. სიტყვის გამოყენება მისთვის უჩვეულო მნიშვნელობით.
2. სიტყვათა ლექსიკური თავსებადობის დარღვევა.
3. დიალექტური და სასაუბრო გამოთქმების გაუმართლებელი გამოყენება.
4. ნაცვალსახელებისარასწორი გამოყენება.
5. განსხვავებული სტილისტური შეფერილობის სიტყვების არასწორი გამოყენება.
6. სიტყვაში პრეფიქსით ან სუფიქსით შემოტანილი სემანტიკური მნიშვნელობების ჩრდილების გარჩევა.
7. პარონიმების გარჩევა.
8. არასაჭირო სიტყვების გამოყენება (პლეონაზმი), ტავტოლოგია.
9. სიტყვათა რიგის დარღვევა.
10. სინტაქსური სტრუქტურების სიღარიბე და

ერთფეროვნება. მეტყველების სამი შეცდომა უდრის ერთ

გრამატიკულ შეცდომას.

გრამატიკული შეფასება მოიცავს გრამატიკის სფეროში ცოდნის შეფასებას B1 დონეზე, მართლწერის, პუნქტუაციის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ცოდნას მითითებულ დონეზე. გრამატიკის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა.

შეფასება:

9-10 ქულა - ნამუშევარი დაწერილია სწორად, თანამედროვე რუსული ენის ნორმების დაცვით. გამოყენებულია რთული სინტაქსური კონსტრუქციები. გრამატიკული შეცდომა არაა 1-ზე მეტი. ორთოგრაფია და პუნქტუაცია მაღალ დონეზეა.

7-8 ქულა - ნაშრომი დაწერილია სწორად, თანამედროვე რუსული ენის ნორმების დაცვით. გამოყენებულია რთული სინტაქსური კონსტრუქციები. არაუმეტეს 2-3 გრამატიკული შეცდომაა. მართლწერა და პუნქტუაცია კარგ დონეზეა.

5-6 ქულა - ნამუშევარი დაწერილია საშუალო დონეზე, თანამედროვე რუსული ენის ნორმების გარკვეული დარღვევით (წერით მეტყველებაში სასაუბრო გამოთქმების, ჟარგონის, ქუჩის ენის, სხვადასხვა ახალგაზრდული სუბკულტურების, მშობლიური ენიდან კალკირებული გამონათქვამების და ა.შ. გამოყენება). გამოყენებულია მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები. გრამატიკული შეცდომები 4-დან 6-მდეა. მართლწერა და პუნქტუაცია საშუალო დონეზეა.

3-4 ქულა - ნაწარმოები ცუდად არის დაწერილი, თანამედროვე რუსული ენის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით (სასაუბრო გამოთქმების, ჟარგონის, ქუჩის ენის, სხვადასხვა ახალგაზრდული სუბკულტურების და ა.შ. წერით მეტყველებაში ჩართვა; ლექსემების სემანტიკის არასწორი გამოყენება). გამოყენებულია მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები. გრამატიკული შეცდომები 7-დან 10-მდეა. მართლწერა და პუნქტუაცია სუსტ დონეზეა.

1-2 ქულა - ნაწარმოები დაბალ დონეზეა დაწერილი, თანამედროვე რუსული ენის ნორმების დიდი დარღვევით (სასაუბრო გამოთქმების, ჟარგონის, ქუჩის ენის, სხვადასხვა ახალგაზრდული სუბკულტურების და ა.შ. წერილობით მეტყველებაში ჩართვა; სინტაქსური სტრუქტურების ცუდი ცოდნა, მორფოლოგიის სფეროში ცუდი ცოდნა). გამოყენებულია ელემენტარული სინტაქსური კონსტრუქციები. დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. ორთოგრაფიის და პუნქტუაციის სფეროში დემონსტრირებულია ცოდნის უაღრესად დაბალი დონე. ან დაწერილია 2 წინადადება, ან ყველა სიტყვაშია გრამატიკული/მართლწერის შეცდომები, პუნქტუაცია არ არის დაცული. ტექსტის გაგება ან ძალიან რთულია ან შეუძლებელი.

0 ქულა - გრამატიკული შეცდომების რაოდენობა აჭარბებს ჯამურად 15-ს; პუნქტუაციური, ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, რაც შეუძლებელს ხდის გაგების პროცესს.

გრამატიკული შეცდომები.

1. მცდარი სიტყვათწარმოება.
2. სიტყვის ფორმების არასწორი ფორმირება.
3. ენობრივი ნორმების დარღვევა.
4. მართვის სტანდარტების დარღვევა.
5. საგანსა და პრედიკატს შორის კავშირის დარღვევა.
6. პრედიკატის გამოხატვის ხერხების დარღვევა.

7. შეცდომები მარტივი წინადადებების აგებაში.
8. შეცდომები შერწყმული წინადადებების აგებაში.
9. შეცდომები რთული წინადადებების აგებაში.
10. წინადადების საზღვრების დარღვევა.
11. წინადადების წევრის გამოტოვება.
12. ზმნის ფორმების დროითი კორელაციის ტიპების დარღვევა.
13. ნაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებული შეცდომები.

ორთოგრაფიული შეცდომები.

ორთოგრაფიული შეცდომა – ესაა სიტყვის არასწორად დაწერა. რუსულ ენაში B1+ დონის ტიპიურ ორთოგრაფიულ შეცდომებს მიეკუთვნება:

- ასოების არასწორად დაწერა *перехот* (*переход*);
- გადატანის წესების დარღვევა *рад-ость*;
- რთული სიტყვების მართლწერა (ერთად ან ცალ-ცალკე) *какбудто, не чем* (*как будто, нечем*);
- ფუძეების მართლწერა ხმოვანთა მონაცვლეობით *умерать* (*умирать*);
- სიტყვების შეცვლა *кординально* (*кардинально*);
- ზედსართავი სახელების და ნაწილაკების დაბოლოებებში *и/й* -ს შორის განსხვავება;
- ზმნიზედის ბოლოში *а/о* ასოების არასწორად გამოყენება;
- *ь*-ის არარსებობა ინფინიტიურ ფორმებსა და მე-3 ბრუნვის არსებით სახელებში;
- სიტყვის ფუძეებში ან დაბოლოებებში *и/ы* არასწორად გამოყენება.

პუნქტუაციური შეცდომები:

პუნქტუაციური შეცდომებია სასვენი ნიშნების არასწორად გამოყენება. პუნქტუაციური შეცდომები B1+ დონეზე რუსულში მოიცავს:

- რთულ წინადადებაში მძიმის არასწორი გამოყენება კავშირების წინ;
- რთული წინადადების ნაწილებს შორის მძიმის არარსებობა კავშირების წინ - *что, чтобы, потому что, как, где, когда, который*;
- სასვენი ნიშნების არასწორი გამოყენება შერწყმულ წინადადებაში;
- რთულ წინადადებაში მძიმის არასწორი გამოყენება მიმდებარისა და გერუნდის წინ;
- შეცდომები შესავალ სიტყვებში სასვენი ნიშნების გამოყენებისას.

კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი შეცდომებია ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური შეცდომები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომუნიკაციური ამოცანის გადაწყვეტაზე. თუ დავალების შესრულებისას დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობა აღემატება 15 ქულას, დავალება არ ფასდება.

გრამატიკული და ორთოგრაფიული/პუნქტუაციური შეცდომების შეფარდება: ჯამურად 10 (5-დან 10-მდე) ორთოგრაფიული/პუნქტუაციის შეცდომა უდრის 1 გრამატიკულ შეცდომას.

მოსმენის შეფასების კრიტერიუმები:

ტესტის წერისას არ შეიძლება ლექსიკონის გამოყენება. ტესტი შედგება 3 აუდიო ტექსტისგან. ყველა აუდიო ტექსტის მოსმენა ხდება ორჯერ. აუდიო ტექსტის მოსმენის შემდეგ შემოთავაზებული დახურული კითხვებიდან უნდა აირჩიოს სწორი პასუხი და ტესტში მონიშნოს შესაბამისი ასო. მოსმენისთვის ქულების მაქსიმალური რაოდენობაა - 14. თითოეული სწორი პასუხი არის 1 ქულა, ყოველი არასწორი პასუხი 0 ქულა.

ლაპარაკის შეფასების კრიტერიუმები:

ტესტი შედგება 3 დავალებისგან. I დავალება სრულდება წინასწარი მომზადების გარეშე. აუცილებელია დიალოგებში მონაწილეობა. მოისმინება ტესტიდან მასწავლებლის კითხვა და გაიცემა პასუხი. თუ აპლიკანტს არ აქვს დრო პასუხის გასაცემად, არ არის საჭირო დაყოვნება, თქვენ უნდა მოუსმინოთ შემდეგ კითხვას. აპლიკანტმა უნდა გასცეს სრული პასუხი (პასუხი “да”, “нет”, “не знаю” არ არის სრული).

II დავალება სრულდება წინასწარი მომზადების გარეშე. აუცილებელია სიტუაციურ დიალოგებში მონაწილეობა. აპლიკანტი ეცნობა სიტუაციას და შემდეგ იწყებს დიალოგს პრობლემის გადასაჭრელად. თუ ერთი სიტუაცია რთულად მოეჩვენებათ, შეუძლიათ გადავიდნენ შემდეგ სიტუაციაზე. აუცილებელია სრულფასოვანი დიალოგების აგება, რომლებიც მაქსიმალურად ასახავს საჭირო ინფორმაციას. ერთგვაროვანი პასუხები (“да”, “нет”, “не знаю”) არ ჩაითვლება.

III ამოცანა გულისხმობს წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემას. ლაპარაკის ქულების მაქსიმალური რაოდენობაა - 26 .

თუ მთავარი საკომუნიკაციო ამოცანა ადეკვატურად არ არის გადაწყვეტილი, პასუხი არ ფასდება. კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი შეცდომა ეხება ლექსიკურ-გრამატიკულ, ფონეტიკურ ან ინტონაციურ შეცდომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კომუნიკაციური ამოცანის გაგებაზე.

მეტყველების შეფასების კრიტერიუმები:

1. ტექსტური ინფორმაციის რეპროდუცირების სიზუსტე (-5 ქულა ინფორმაციის ყოველი დამახინჯებისთვის/+5 ქულა ინფორმაციის რეპროდუცირების ადეკვატურობაზე);
2. ტექსტის რეპროდუქციის სისრულე (-5 ქულა სემანტიკური ნაწილის გამოტოვებისთვის, + 5 ქულა სემანტიკური ნაწილის სრული რეპროდუცირებისთვის);
3. პრეზენტაციის ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა (-2 ქულა თითოეულ დარღვევაზე, +2 ქულა სემანტიკური ნაწილის რეპროდუქციის სისრულისთვის);
4. დამოუკიდებლობის ელემენტები ტექსტის შინაარსის ინტერპრეტაციაში და ენობრივი საშუალებების გამოყენებაში (+5 ქულა);

5. განცხადების შემუშავება (+ 1 ქულა);
6. ფონეტიკურ-ინტონაციური ნორმების შესაბამისობა (+1 ქულა);
7. მეტყველების ეტიკეტის მაქსიმალური გამოყენება (+1 ქულა);
8. ფონეტიკურ-ინტონაციური ნორმების უხეში დარღვევები არაფონემურ დონეზე (-2 ქულა თითოეულ დავალებაზე);
9. კომუნიკაციურად უმნიშვნელო ლექსიკური და გრამატიკული შეცდომა (-0,5 თითოეულზე);
10. კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი შეცდომა (-1 ქულა თითოეულზე);
11. მეტყველების ნორმების დარღვევა (-0,5 ქულა თითოეულ შემთხვევაში);
12. წახალისებულია და აღინიშნება კომუნიკაციური ამოცანის გაგების ადეკვატურობა (+6 ქულა).